საქართველო, თბილისი, 0177
გ. კარტოზიას ქ. 10

10 G. Kartozia Str.
0177, Tbilisi, Georgia

+ (995 32) 2 444 111
info@m2.ge | www.m2.ge

შპს ,,ოპტიმა''
,,Optima'' LLC
ს/კ 405160819 I/D

N31_P_OPT25 11.12.2025

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

წინამდებარე მინდობილობით, მე, **გურამ ახვლედიანი** (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 01033000211) მოქმედი როგორც **შპს „ოპტიმას“** (კომპანია რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად,საიდენტიფიკაციო ნომრით: 405160819) (შემდგომში - კომპანია) დირექტორი (შემდგომში - მარწმუნებელი) უფლებამოსილებას ვანიჭებ **მარიამ ჭულუხაძეს** (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01019070369) (შემდგომში - რწმუნებული), რათა მან განახორციელოს შემდეგი ქმედებები მარწმუნებლის და კომპანიის სახელით:

წარმოადგინოს/დაიცვას მარწმუნებლისა და კომპანიის ინტერესები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს წინაშე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, შსს-ის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების, რომლებიც მდებარეობს ქ. თბილისში, მირცხულავას ქუჩასა (ს/კ: ##01.13.04.017.406; 01.13.04.017.405; 01.13.04.017.409; 01.13.04.017.408; 01.13.04.017.411; 01.13.04.017.109; 01.13.04.017.106; 01.13.04.017.407; 01.13.04.017.412; 01.13.04.017.410) და ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქუჩაზე (ს/კ ##01.12.12.024.206; 01.12.12.024.209; 01.12.12.024.211; 01.12.12.024.212; 01.12.12.024.213; 01.12.12.024.214; 01.12.12.024.215; 01.12.12.024.216; 01.12.12.024.218; 01.12.12.024.224; 01.12.12.024.260; 01.12.12.024.262) სამშენებლო განვითარებას.

რწმუნებული უფლებამოსილია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, შსს-ის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან საზოგადოების სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერ განცხადებას, განაცხადს, ოფიციალურ საბუთს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ განცხადებას/განაცხადებს (მათ შორის, ზემოაღნიშნულ მიწის

ნაკვეთებზე მშენებლობის ნებართვების მოპოვების (სამივე სტადია), პროექტების კორექტირების, მშენებლობის ნებართვების ვადების ცვლილების, შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღებისა და პირველი კლასის ობიექტების განთავსების თაობაზე განცხადებას), შეიტანოს, წარადგინოს/ატვირთოს (მათ შორის - ელექტრონულად), ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოებში ყველა სახის განცხადება, განაცხადი, მითითება, დოკუმენტაცია; ჩაიბაროს/გამოიტანოს/გამოითხოვოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირების მიერ მომზადებული ნებისმიერი საბუთი/დოკუმენტი ან/და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, წარადგინოს ნებისმიერი აუცილებელი დოკუმენტაცია, წერილები, აქტები, ბრძანებები, ხელი მოაწეროს განაცხადებს და სხვა საბუთებს, გადაიხადოს ნებისმიერი მოსაკრებელი და ბაჟი, წარადგინოს მოსაკრებლისა და ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

აღნიშნული მინდობილობა ასევე გულისხმობს რწმუნებულის ნებისმიერ, ამ მინდობილობაში გაუთვალისწინებელი ქმედების უფლებამოსილებასაც, რაც აუცილებელია ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარებისათვის.

მინდობილობა ძალაშია 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შპს „ოპტიმას“ (ს/ნ 405160819)

დირექტორი,

გურამ ახვლედიანი



